საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იურჩიხინი თედორე (ფეოდორ) ნიკოლოზის ძე

თ. ნ. იურჩიხინი

იურჩიხინი თედორე (ფეოდორ) ნიკოლოზის ძე (დ. 3. I. 1959, ბათუმი), კოსმონავტი.

1976 დაამთავრა ბათუმის კოროლიოვის სახ. მე-5 საშ. სკოლა, 1983 – მოსკოვის საავიაციო ინ-ტის საფრენი აპარატების ფაკ-ტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, 2001 – რუსეთის სახელმწ. სამსახურის აკადემია.

ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა კოსმოსურ ექსპედიციებში, ხუთჯერ გავიდა ღია კოსმოსში, საერთო ხანგრძლივობით 31 სთ 54 წთ.

არის „საპატიო ბათუმელი" (2013). მიღებული აქვს რუსეთისა და საბერძნეთის სამთავრობო ჯილდოები.